საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
დედამიწის მეგობრები – საქართველო

გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა, № 2 (23) 2013 წელი

Clean Up Georgia

ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა

მე-4 წელია, რაც არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოვიჟენი“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ ახორციელებს პროექტს „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“.

პროექტის მიზანს წარმოადგენს:

- საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემების მოგვარება და მისი გონივრულად გამოყენება (მართვა);
- საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება;
- 3R სისტემის დანერგვა და თანამედროვე მეთოდების გამოყენება;

ტერმინი „3R სისტემის დანერგვა“ გულისხმობს - ნარჩენების შემცირების, ხელახალი გამოყენებისა და მისი რეციკლირების (გადამუშავების) სისტემის დანერგვას.

Reduce – შემცირება;
Reuse – ხელახალი გამოყენება;
Recycle – რეციკლირება ანუ გადამუშავება;

აღსანიშნავია, რომ პროექტი საწყისი ეტაპიდან (2010 წლიდან), ორგანიზებას უკეთებს მთელი ქვეყნის მასშტაბით დასუფთავების საერთაშორისო აქციას „დავასუფთაოთ საქართველო - დავასუფთაოთ მსოფლიო“, რომელსაც მსოფლიო საზოგადოება უკვე 21 წელია რაც აღნიშნავს და დღეისათვის მასში უკვე მსოფლიოს 130 ქვეყანაა ჩართული.

სექტემბრის თვეში სამი დღის განმავლობაში ერთიანდება მთელი რიგი ქვეყნები ფართომასშტაბიანი დაასუფთავების აქციებში მონაწილობის მისაღებად, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების პროცესში.

კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World), დაფუძნდა 1992 წელს, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით. 2013 წლის მსოფლიო კამპანია ჩატარდა დევიზით - ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა. კამპანიის ფარგლებში, შექმნილია მსოფლიო გარემოსდაცვითი რუკა, რომელზეც დაიტანება ყველა ის ქვეყანა, რომელიც სურვილს გამოთქვამს შეუერთდეს ამ კამპანიის მონაწილე ქვეყნებს. საქართველო ამ რუკაზე აღნიშნულია 2010 წლიდან.



	2010	2011	2012	2013
მონაწილეების რაოდენობა	29655	37695	39100	41645

ინფორმაცია ჯონსონრციუმის წევრი ორგანიზაციების შესახებ

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ ერთერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნდა საქართველოში. ის შეიქმნა **1989** წელს და დღემდე წამყვან პოზიციებს იკავებს არასამთავრობო სექტორში.

ორგანიზაცია, მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე მიზნად ისახავს სოციალურად მდგრადი საზოგადოების შექმნას, ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ბრძოლას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ეკოლოგიური ცოდნის პროპაგანდას და ცნობიერების ამაღლებას საზოგადოების ფართო მასებში.

1993 წლიდან საქართველოს მწვანეთა მოძრაობა არის საერთაშორისო ორგანიზაციის “დედამიწის მეგობრები”-ს, სრულუფლებიანი წევრი და წარმოადგენს „დედამიწის მეგობრებს” (FOE) საქართველოში.

ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ ძირითადი ბირთვი დაკომპლექტებულია პროფესიონალებით და გააჩნია გუნდური მუშაობის მრავალწლიანი საუკეთესო გამოცდილება, რაზეც ნათლად მეტყველებს ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობა და ხარისხი. ორგანიზაციას ასევე ჰყავს თავისი წარმომადგენლობა საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში. შექმნილი აქვს ექსპერტთა საბჭო (ეკოლოგიური ასოციაცია), რომელიც მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს ორგანიზაციის ეკოლოგიურ საქმიანობას.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა წარმატებით მუშაობს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ პარტნიორებთან ერთად და გააჩნია ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი, სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება.

კავშირი მდგრადი განვითარებისათვის - ეკოხედვა

არასამთავრობო ორგანიზაცია - კავშირი მდგრადი განვითარებისათვის – ეკოხედვა დაარსდა თბილისში **2001** წელს. ორგანიზაციის მიზანია საქართველოში მდგრდადი განვითარების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა. **2009** წელს ორგანიზაცია დარეგისტრირდა საერთაშორისო სახელწოდებით – ECOVISION.

ორგანიზაციის პინციპებია: კანონის პატივისცემა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა, თანასწორობა, პროფესიონალიზმი.

2001 წლიდან ორგანიზაციას **50**-ზე მეტი გარემოსდაცვითი პროექტი აქვს განხორციელებული სხვადასხვა დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით. მათ შორის ყოველკვირეული საბავშვო შემეცნებითი გადაცემა „ეკოვიზია“ ტელეკომპანია იმედის არხზე; საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება; საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზიანებული ტყის ეკოსისტემის აღდგენა - კომპონენტი: სოფლის ცხოვრების და ადგილობრივი საარსებო პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობათა სწრაფი შეფასება; დედოფლისწყაროს რაიონის სექტორული დაგეგმარება; ენერგიისა და რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი; პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო“ და სხვა.

ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს: საქართველოს რეგიონების მოსახლეობა, მასწავლებლები, ახალგაზრდები, ქალები, იძულებით გადაადგილებილი პირები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სხვა.

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი"

არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი" დაარსდა **1997** წელს ,რომლის მისიას წარმოადგენს ბუნების კვლევა და აქტიური წვლილის შეტანა გარემოს დაცვის ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში საქართველოს მოსახლეობისათვის უკეთესი, უსაფრთხო და სუფთა გარემოს შექმნის მიზნით.

სბმკ „ორქისი"-ს მიზნები და ამოცანებია ეკოსისტემების შესწავლა და მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება; ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა მონიტორინგი და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების განსაზღვრა მათი კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად; აქტიური წვლილის შეტანა გარემოს დაცვის ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში საქართველოს მოსახლეობისათვის უკეთესი, უსაფრთხო და სუფთა გარემოს შექმნის მიზნით; დაინტერესებულ პირთა შორის ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საინფორმაციო ორგანოს საშუალებით; აგრეთვე, გარემოს დაცვის აქტუალურ საკითხებზე საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და შესაძლებლობების გაძლიერება; გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მომზადებაში მონაწილეობის მიღება; აქტიური თანამშრომლობა როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ბუნების დაცვის ორგანიზაციებთან, სამსახურებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და აგრეთვე, მსგავსი ინტერესების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებებთან და კერძო პირებთან.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობები მოიცავს: სამეცნიერო კვლევევბს ბიომრავალფეროვნებაზე კლიმატის ცვლილების გავლენაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს; ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოსისტემების დეგრადაციის უარყოფითი ასპექტების შესწავლას და მისი დაცვის საკითხებს; გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოსდაცვითი ინტეგრირებული მართვის გეგმებისათვის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტების, ქვეყნისა და დარგობრივი სტრატეგიების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას; მაღალი ეკოლოგიური რისკის პროექტების მონიტორინგს; დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების, გარემოსდაცვითი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას; საქართველოს ჰაბიტატების კლასიფიკაციის მომზადებას ატურა **2000**-ს სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად; საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისმართვის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად და ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას; გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და კონსერვაციის ხელშეწყობის მიზნით და სხვა.

2013 წლის დასუფთავების საერთაშორისო აქციები საქართველოში

დასუფთავების აქციების მთავარი მიზანია მოსახლეობის მობილეზება პრობლემის გარშემო, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების შემცირება და აქტიური დაინტერესებული ჯგუფების გამოკვეთა.

თბილისის აქციები

20 სექტემბერს, „დავასუფთაოთ საქართველო" კამპანიის პირველ დღეს დასუფთავდა ციხე-სიმაგრე ნარიყალას მიმდებარე ტერიტორია.

21 სექტემბერს, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით, დასუფთავდა კოჯრის, წავკისის ტაბახმელას და შინდისის სკოლების მიმდებარე ტერიტორიები.

საქართველოს მოსახლეობამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა დასუფთავების საერთაშორისო აქციას!

2013 წლის დევიზმა: ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა, ათასობით საქართველოს მოქალაქე გამოიყვანა დასუფთავების აქციაში მონაწილეობის მისაღებად. წარმოდგენილი შედეგები ნათლად აჩვენებს, თუ როგორია საქართველოს მოსახლეობის მზაობა და სურვილი ცხოვრობდეს მისთვის ჯანსაღ და სუფთა გარემოში.

20-21-22 სექტემბრის „დავასუფთაოთ მსოფლიო" კამპანიაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 41 555 ადამიანმა, როგორც ორგანიზებულ ასევე თვითორგანიზებულ აქციებში. დასუფთავდა 612,65 ჰა ტერიტორია და შეგროვდა 1 349,6 მ³ ნარჩენი. ნარჩენები განთავსდა ოფიციალურ პოლიგონებზე.

აქვე ავღნიშნავთ, რომ ასეთი ეფექტური შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა კონსორციუმის მიერ თანმიმდევრულად დაგეგმილი და განხორციელებული მთელი რიგი საინფორმაციო ქმედებები, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის გათვითცნობიერება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვებით და მისი არასწორი მართვის შედეგად გამოწვეული პრობლემების შესახებ.

22 სეტემბერს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია. პარალელურად დასუფთავების აქციები ჩატარდა ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, რეგიონალური კოორდინატორების ორგანიზებით.

ზუდგიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მესტიის მუნიციპალიტეტები „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანიაში აქტიურადაა ჩართული

ჯერ კიდევ, 2010 წლის ზაფხულში როდესაც იწყებოდა პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მგდრადი განითარების კავშირი „ეკოვიჟენი“, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი ,,ორქისი''), ნაკლებად წარმოსადგენი იყო თუ მის მიმდინარეობას საზოგადოებაში ასეთი დიდი აქტიურობა და მხარდაჭერა ექნებოდა.

პროექტის საწყის ეტაპზე ზუდგიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მესტიის მუნიციპალიტეტებში დაიგეგმა მოსაზმადებელი სამუშაობები საზოგადოების მობილიზაციის მიზნით. შედგა არაერთი საინტერესო შეხვედრა პროექტის მენეჯერსა და რაიონების მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობასა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგნლებს შორის, ასევე სოფლების რწმუნებულებთან. შეხვედრებზე საუბარი იყო პროექტის მნიშვნელობაზე და საზოგადოების როლზე, ნარჩენების მართვის საკითხების მოგვარებაში. საზოგადოების მხრიდან გამოიხატა მზაობა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ჩაერთო ყოველი წლის სექტემბრში მიმდინარე დასუფთავების აქციაში.

პროექტის სამწლიანი მიმდინარეობის ფარგლებში ჩატარდა საზოგადოებრივი შეხვედრები და სემინარები ადგილობრიბრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის, სადაც საუბარი იყო ნარჩენების მართვის სფეროში არსებულ პრობლემებზე და მისი შესაძლო მოგვარების გზებზე, მოსახლეობის როლზე ნარჩენების მართვის პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით. მსოფლიოში დანერგილ და აპრობირებულ ნარჩენების მართვის მეთოდებზე, 3R პრინციპებზე და ა.შ. თითოეული შეხვედრა საზოგადობაში იწვევდა დიდ ინტერესსა და მზადყოფნას, შეეტანათ საკუთარი წვლილი თავიანთი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების საქმეში. ამის დასტური, როგორც ავღნიშნე სექტემბრის თვეში (და არა მარტო) დაგეგმილი „დავასუფთაოთ მსოფლიო“ კამპანიის პარალელურად მიმდინარე „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანიაში აქტიური მონაწილობაა.

წელს, ისევე როგორც წინა წლებში, პროექტის მიმდინარეობის მე-2 ფაზაში, ზუდგიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მესტიის მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი მოსახლეობისა და სკოლების წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთო „დავასუფთოთ საქართველო“ კამპანიაში, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით 20-21-22 სექტემბერს ჩატარდა. 2013 წლის სექტემბრის დასუფთავების კამპანიის ფარგლებში შედგა შეხვედრა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში დასუფთავების დაგეგმილ აქციაში მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, შეირჩა დასასუფთავებელი ტერიტორიები. გამოითქვა მოსახლეობის მხრიდან მზადყოფნა, წელსაც აქტურად ჩართულიყვნენ დასუფთავების კამპანიაში. აღსანიშნავია, რომ 20-21-22 სექტემბრის აქციაში მონაწილობა მიიღო 9 500 ადამიანმა ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მესტიის მუნიციპალიტეტებიდან. დასუფთავდა 57 ჰექტარი, შეგროვდა და გატანილ იქნა 300 მ3 მოცულობის ნარჩენი. მათ შორის, 5000-მდე ადგილობრივმა დაასუფთავა საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთები.

სექტემბრის დასუფთვების აქციას წინ უსწრებდა 14-16 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ადილობრივი თვითმართველობისა და USAID მიერ დაფინანსებული დემოკრატიული მართვის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული დასუფთავების აქცია - “ზუგდიდი – სუფთა ქალაქი“, რომელიც განხორციელდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ ორგანიზებითა და დახმარებით. დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თვითმართველობის, სათემო ფონდი „ეგრისი“-ს, „დეა“-ს „ათინათი“-ს „ახალგაზრდები სამოქალაქო ინტერესებისათვის“, „ადამიანის უფლებათა

ცენტრი“-ს წარმომადგენლებმა. შ. მესხიას სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და №1, №2, №3, №4 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. დასუფთავების აქციამ მოიცვა ზუგდიდის რამდენიმე უბანი, კერძოდ: ბოტანიკური ბაღი, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, სახანძროს მიმდებარე ტერიტორია, სკოლების მიმდებარე ტერიტორიები, რკინიგზის სადგური, ავტოსადგური, გამგეობის და გუბერნიის მიმდებარე ტერიტორიები.

აღსანიშნავია, რომ დასუფთავების აქცია ტარდება თითქმის ყოველ თვეში, სხვადასხვა თემებში. მათ შორის, 1–2 ნოემბერს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელობით (გამგებელი – დავით გოგუა) ჩხოროწყუს ტერიტორიაზე ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილეობდა დასუფთავების სამსახურისა და ადმინისტრაციის თანამშრომლები.

თუმცა, ნარჩენებისს მართვის პრობლემების მოგვარება მუნიციპალიტეტებში მარტო დასუფთავების აქციის ჩატრებითა და საზოგადოების აქტიური მონაწილობით ვერ მოგვარდება. დღეისათვის მუნიციპალიტეტებში მოუწესრიგებელია სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვის საკითხები, რამაც შეიძლება მისი ახლო მდებარეობის გამო საცხოვრებელი პუნქტთან, საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის ჯანმრთელობას. ასეთია მაგალითად ონარიის უბანში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელი, რომელიც საცხოვრებელი პუნქტიდან დაშორებულია სულ რაღაც 70 მეტრით და სასმელი წყლის ჭიდან 100 მეტრით, რაც დაუშვებელია. სერიოზული პრობლემები გააჩნია ამ მხრივ წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მესტიის მუნიციპალიტეტებს, რადგანაც მათ შეუჩერდათ საკუთარი ნაგავსაყრელების ფუნქციონირება სტანდარტების დაუცველობის გამო და ვალდებულნი არიან ნარჩენები განათავსონ ზუგდიდის ცაცხვის ნაგავსაყრელზე, რაც დიდ სატრანსპორტო ხარჯებთან არის დაკავშირებული.

და ბოლოს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის განმახორციელებელ ჯგუფსა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida).

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წევრი, პროექტში „დავასუფთაოთ საქართველო“ ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მესტიის კოორდინატორი ვახტანგ ბასილაია

დავასუფთაოთ საქართველო - დავასუფთაოთ ქ. რუსთავი და გარდაბნის მუნიციპალიტეტი

პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ განხორციელების მე-2 ფაზის ფარგლებში, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ქ. რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში მასშტაბური დასუფთავების აქცია ჩატარდა. რომელშიც მონაწილობა მიიღეს ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

დაგეგმილი სექტემბრის აქციის მოსამზადებელ პერიოდში შედგა შეხვედრა მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, კერძო და საჯარო სკოლების, ასევე საბავშვო ბაღების პედაგოგებთან, რომლებსაც მიეწოდათ სრული ინფორმაცია დაგეგმილი დასუფთავების აქციისა და დასასუფთავებელი ტერიტორტიის ადგილმდებარეების შესახებ. მოსამზადებელ პერიოდში მოსახლეობას დაურიგდა საჭირო ინვენტარი, მათ შორის პროექტის ლოგოთი აღბეჭდილი მაისურები.

დასუფთავების აქცია 20 სექტემბერს ჩატარდა ქ. რუსთავში, რომელსაც ორგანიზება გაუკეთა კოალიცია ქართული ოცნების ახალგაზრდულმა ფრთამ. აქციის ფარგლებში დასუფთავდა იუსტიციის სახლის მიმდებარე პარკი და ახალგაზრდობის სკვერი. ამავე დღეს ჩატარდა დასუფთავების აქცია გარდაბანის მუნიციპალიტეტში, რომელშიც მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობა მიიღო გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმონადგენლებმა. საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

მასშტაბური სახე მიიღო 21 სექტემბრის დასუფთავების აქციამ ქ. რუსთავში, რომელშიც ადგილობრივი მერიის წარმომადგენლების გარდა, მონაწილობდნენ რუსთავის ახალგაზრდული ცენტრის, რუსთავის იურიდიული დახმარების, მუნიციპალური თეატრის, სამხედრო აღრიცხვის სამსახურის, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურისა და დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლები. ასევე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თანამშრომლები.

აქციის დროს დასუფთავდა რუსთავის თეატრის მიმდებარე ტერიტორია, მერიის წინამდებარე სკვერი, ბარათაშვილის, კონსტიტუციის, ნიკოლაძის, სპორტისა და ქაშაკაშვილის ქუჩები. დასუფთავდა 70 კორპუსის ეზო. სულ 20 ჰექტარი.

სექტემბრის დასუფთავების აქციაში სულ მონაწილობა მიიღო დაახლოებით 1500 ადამიანმა. შეგროვდა 75 $მ^3$, ნარჩენი, რომელიც განთავსდა ნაგავსაყრელზე.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წევრი, პროექტში
„დავასუფთაოთ საქართველო“ ქ. რუსთავისა და
გარდაბნის კოორდინატორი
მარიკა ფიროსმანიშვილი

Clean Up Georgia

მსოფლიო დასუფთავების კამპანიის მიმდინარეობის ფარგლებში საქართველოში სექტემბრის თვეში დასუფთავდა 612 ჰა ფართობის ტერიტორია
(მონაცემები ქვეყნის მასშტაბით)



დავასუფთაოთ საქართველო - დავასუფთაოთ კახეთი

უკვე მეოთხე წელია, რაც თელავისა და ახმეტის მოსახლეობა აქტიურადაა ჩართული დასუფთავების საერთაშორისო აქციებში. ეს აქციები ტარდება პროექტი „დავასუფთაოთ საქართველოს“ ფარგლებში“. აქციები ტარდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“-ს ორგანიზებით და მასში მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ყველა რეგიონი.

თელავის და ახმეტის რაიონებში, დასუფთავების საერთაშორისო აქციისათვის მზადება 4 სექტემბრიდან დიწყო. მზადებაში თავიდანვე ჩაერთვნენ თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები და სოფლის გამგეობები.

დიდი დახმარება აღმოგვიჩინა თელავის მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი მაჭავარიანმა და გამგებელის მოადგილემ დავით ნაპირელმა. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბ-ნ დავით იმერლიშვილმა. მათი უშუალო დახმარებით ჩატარდა შეხვედრები სოფლების გამგებლებთან. გამგებლებს მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია პროექტის „დავასუფთაოთ მსოფლიო - დავასუფთაოთ საქართველო“ და დასუფთავების საერთაშორისო აქციის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაცია გავრცელდა ადგილობრივი ტელევიზია „გორდას“ და პრესის საშუალებით. ასეთი ფართო საინფორმაციო კამპანიის შედეგი იყო ის, რომ დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღო თელავის მუნიციპალიტეტის 26 სოფლის 10 000-ზე მეტმა მოსახლემ, ქ. თელავის 500-ზე მეტმა მაცხოვრებელმა და სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლებმა. ცალკე მინდა აღვნიშნო სათემო ორგანიზაცია „ვარდისუბნის“ (ხელმძღვანელი ბელა მარუქაშვილი) თანადგომა, რომლის დახმარებით შეგროვდა და თელავის ნაგავსაყრელზე განთავსდა 4 დიდი სოფლის (ვარდისუბანი, რუისპირი, იყალთო და იმერლები) ნარჩენები.

საგანგებო რეჟიმში იმუშავა თელავის დასუფთავების სამსახურმა. აქციის მსვლელობისას სამსახურის 5 მანქანა მთელი დღის განმავლობაში ემსახურებოდა აქციის მონაწილეებს ნარჩენების შეგროვებასა და ნაგავსაყრელზე გატანაში. სულ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვდა 50m^2 ნარჩენი.

რაც შეეხება ახმეტას, აქ სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით უფრო მეტად არის მოწესრიგებული სოფლების ტერიტორიებიდან ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესასვლელ გზებზე (თელადურები. ახმეტამდე მივიდან, ნაფარეულიდან და პანკისის ხეობიდან) განთავსებულია 500 ბუნკერი, სოფლების მისადგომებთან ტერიტორიები სუფთაა და ადგილობრივი მოსახლეობაც უფრო ყურადღებით ეკიდება ნარჩენებით ტერიტორიების დაბინძურების პრობლემას. აქციის მსვლელობის დროს სოფლის მოსახლეობა ოჯახებით მონაწილეობდა დასუფთავების აქციებში. დასუფთავების აქციები ჩატარდა კახეთის მთიან რეგიონშიც. თუშეთში (გამგებელი ლადო კახოიძე) სოფ. შენაქოში და ომალოში ყველა ადგილობრივი მცხოვრები და იმ დროს იქ მყოფი პოლონელი ტურისტიც აქტიურად იყო ჩაერთული აქციაში.

სამწუხაროდ, არ შემიძლია რომ არ ავღნიშნო, რომ მიუხედავად დასუფთავების სამსახურის საგანგებო რეჟიმში მუშაობისა, შესაბამისი რაოდენობის ტექნიკის არქონის გამო, ნარჩენების დიდი ნაწილი შეგროვების ადგილებზევე დაიწვა, რაც მიუღებელია.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წევრი, პროექტში
„დავასუფთაოთ საქართველო“ თელავისა და ახმეტის
კოორდინატორი ნუგზარ გაბუნია

საზოგადოებრივი და მედია აქტიობები

ამ სექტორის ძირითად მიზანს წარმოადგენდა:

- საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა კომუნალურ ნარჩენებთან დაკავშირებით;
- საზოგადოების მობილიზება ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემების გარშემო;
- მოსახლეობისათვის, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების (ე.წ.3R) გაცნობა;

ამ მიზნის მისაღწევად:

• დაიგეგმა და მოეწყო არაერთი შეხვედრა/სემინარი, ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მომზადდა და ადგილებზე დარიგდა სხვადასხვა საინფორმაციო მასალები (თემატური ბუკლეტები, ბროშურები, ლიფლეტები და სხვა), გამოყენებული იქნა სოციალური ქსელები (ვებ – გვერდი http://www.cleanup.ge, Facebook-ი და blog, CENN და REC-ის საინფორმაციო ქსელები), მომზადდა სტიკერები, მაისურები და ჩანთები შესაბამისი საინფორმაციო წარწერებით და დარიგდა მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში. შეიქმნა თემატური სარეკლამო რგოლები და განთავსდა სატელევიზიო ბადეში, myvideo.ge-ის გვერდზე, დაიკიდა ბანერები თბილისის შემოსასვლელ-გასასვლელ დერეფნებში და რეგიონებში, თბილისის ავტობუსების გაჩერებებზე ე.წ. „ბასსტოპებზე“ განთავსდა სარეკლამო ბანერები (რეციკლირება, სეპარაცია, კომპოსტი), პროექტის ფარგლებში გამოიცა ჟურნალი „გარემო და საზოგადოების“ (31,2,3,4,5,6,7,8) და სამი თემატური გამოცემა.

- გარდა ამისა, ნარჩენების პრობლემებს მიეძღვნა ორი გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლობის 1 არხზე, „სტუადია რე“-ზე, 16 რეგიონალური ტელეკომპანიის საშუალებით გავიდა „სტუდია რე-ს მიერ მომზადებული გადაცემა და სხვადასხვა სახის ინფორმაცია რეგიონალური აქტიობების შესახებ. არაერთი გადაცემა გავიდა სხვადასხვა რადიომაუწყებლობით, რომელიც ეხებოდა პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებს და ღონისძიებებს. დაიბეჭდა სტატიები, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ ბეჭდვით მედიაში.
- ჩატარდა ორი სემინარი რეგიონალური მედიის წარმომადგენლებისათვის (ქუთაისი და თელავი), რისთვისაც მომზადდა დამხმარე საინფორმაციო პაკეტები და ასევე სემინარი კახეთის ახალგაზრდულ გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან.
- პოპულარიზაციის მიზნით „ექსპო-ჯორჯიას“ მიერ ორგანიზებულ მშენებლობისა და ინტერიერის მე-17 საერთაორისო გამოფენაზე, მოეწყო საქართველოში მეორადი გადამუშევებით მიღებული პროდუქციის ექსპოზიცია.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სტუდენტების დაინტერესების მიზნით მოიხატა კედელი პროექტის სიმბოლიკით და შესაბამისი მოწოდებით.
- მომზადდა და გამოქვეყნდა პოპულარული სახელმძღვანელო მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხებზე, რომელიც მოიცავს ნარჩენების მართვის დაგეგმარების საკითხებს ცენტრალურ, სამხარეო–ადმინისტრაციულ და ადგილობრივ დონეებზე. ასევე, განიხილავს დაგეგმარების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდებს ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემის განვითარებისათვის;
- შეიქმნა მონაცემთა ბაზა საქართველოში არსებული მყარი ნარჩენების შესახებ, რომლის საფუძველზეც გაკეთდა ინტერაქტიური რუკა. რუკის ნახვა შესაძლებელია პროექტის საიტზე (www. cleanup.ge). რუკაზე დატანილია ქვეყანაში არსებული ყველა უკანონო ნაგავსაყრელის და პროექტის ფარგლებში დასუფთავებული ტერიტორიების კოორდინატები. ასევე, პროექტის ფარგლებში ჩატარებული ყველა სემინარის, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებისა და აქციების შესახებ მონაცემები (რუკის განახლება ხდება მუდმივად).

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვის მაგალითი

ლილოს ნაგავსაყრელი

ლილოს ნაგავსაყრელი აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაცვის გარეშე. დღეს, ლილოს მოსახლეობა სერიოზულ პრეტენზიებს გამოთქვამს ამ ობიექტის ფუნქციონირების გამო (უსიამოვნო სუნის გავრცელება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, მწერების რაოდენობის და ინფექციური დაავადებების მატება, მშენებლობისათვის - ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთების გამოყენება კომპენსაციების გარეშე და მათ დაუკითხავად). აღშფოთებული მოსახლეობა მთავრობისგან ითხოვს სამართლიანობის აღდგენას და ნაგავსაყრელის სხვა ადგილზე გადატანას.

პრობლემაში გარკვევის მიზნით, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ მიერ განხორციელდა პროექტი „ლილოს ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული პრობლემების შესწავლა - შეფასება“, რომლიც ითვალისწინებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაცვის გარეშე აშენებული მსხვილი სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციის შედეგად გამოწვეული სიტუაციის შესწავლა-შეფასებას. პროექტი განხორციელდა ვესმისტერის დემოკრატიის ფონდის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, მიმდინარე პროგრამის „არასამთვრობო სექტორსა და საქართველოს პარლამენტს შორის საჯარო პოლიტიკაზე დიალოგის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“ ფარგლებში.

პროექტის განმახორციელებელმა ჯგუფმა ჩაატარა არაერთი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობას და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან და ექსპერტებთან. შეისწავლა დოკუმენტაცია, რომლის დეტალურმა განხილვამ აჩვენა, რომ არსებობს სერიოზული სისტემური ნაკლოვანება, რაც დაკავშირებულია ძირითადი მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული, მთავარი აუცილებელი დოკუმენტისა და სამოქმედო/ოპერირების დეტალური გეგმის არ არსებობასთან. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაციამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მოაწესრიგოს და შემდგომში აღკვეთოს ასეთი ტიპის ობიექტებისთვის გარემოზე ზემოქმედების პროცედურიდან აღნიშნული საქმიანობის განთავისუფლებას. ამავე დროს დეტალური ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ მიეწოდა პარლამენტის თავმჯდომარეს.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ და „მოლაშქრეთა ფედერაციას“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მოლაშქრეთა ფედერაციის აქტიურ თანადგომას ძნელად მისასვლელი, მიტოვებული ტერიტორიების და სალაშქრო ბილიკების მახლობლად დასუფთავების აქციების ჩატარებას.

პროექტის ფარგლებში, დასუფთავების აქციები სისტემატიურად ტარდება დედაქალაქში და რეგიონებში. ორგანიზაციები და მოქალაქეთა ჯგუფები მუდმივად გამოთქვამენ სურვილს, რათა დახმარება აღმოვუჩინოთ დასუფთავების აქციების ორგანიზებაში. განსაკუთრებით აქტიურობენ ახალგაზრდები, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მენტალობის ფორმირებისთვის.

დასუფთავების აქცია შვედეთის საელჩოსთან

18 ოქტომბერს აქცია ჩატარდა შვედეთის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე. დასუფთავდა საელჩოს წინ მდებარე სკვერი, სადაც საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილობა მიიღეს პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2), განმახორციელებელი კონსორციუმის წარმომადგენლებმა და აქტივისტებმა. აქვე მოეწყო ფოტო გამოფენა - საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული დაბინძურებული ტერიტორიების შესახებ. აქციამ დაინტერესება გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში და მცირე ნაწილი შეუერთდა აქციის მონაწილეებს.

აქციის შემდგომ, ორგანიზატორები და მონაწილეები შეიკრიბნენ საელჩოს ტერასაზე, სადაც გამოფენილი იყო საინფორმაციო ბანერები. პროექტის მენეჯერმა ქ-ნ ნინო ჩხობაძემ წარადგინა ანგარიში პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ფარგლებში ჩატარებული საქმიანობების შესახებ“. დამსწრეებმა დადებითად შეაფასეს პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მუშაობა.

მსოფლიო დასუფთავების კამპანიის მიმდინარეობის ფარგლებში საქართველოში სექტემბრის თვეში შეგროვდა 3787 მ³ ნარჩენი
(მონაცემები ქვეყნის მასშტაბით)



დასუფთავების აქცია ქ. ბორჯომში

წელს, კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, რომლის ორგანიზატორია საქართველოს მწვანეთა/მოძრაობა დედამიწის მეგობრები–საქართველო, ქ. ბორჯომში მე-4 საჯარო სკოლის ეკოკლუბის „ბიოსფერო“ორგანიზებით, ჩატარდა დასუფთავების აქცია. აქციის ფარგლებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილობით დასუფთავდა სკოლის მიმდებარე ტერიტორია.

ყურადღებას!

ა/წ 1 მარტიდან ცხადდება კონკურსი „სუფთა რეგიონი“. ინფორმაცია კონკურსის პირობებისა და ვადების შესახებ განთავსდება პროექტის „დავასუფთაოთ საქართველოს“ საიტზე www.cleanup.ge და გავრცელდება CENN და REC-caucasus ქსელების მეშვეობით.

საოჯახო პირობებში მზის ენერგიით გათბობის, ცხელი წყლისა და თბოსაიზოლაციო სისტემების დანერგვა და ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება სოფლად აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონში

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია "სემა"-ს, სოფლად თემთა განვითარების სააგენტოსა და საზოგადოების განვითარების ახალციხის ცენტრი, „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) თანამშრომლობით, ახორციელებენ პროექტს „საოჯახო პირობებში მზის ენერგიით გათბობის, ცხელი წყლისა და თბოსაიზოლაციო სისტემების დანერგვა და ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება სოფლად აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონში". პროექტის მიზანია საქართველოში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ეფექტურად დანერგვისა და გამოყენების პოლიტიკის განხორციელება ხელშწყობა და ლობირება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სადემონსტრაციო ობიექტების მშენელობის გზით, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება დაინტერესებული ჯგუფებისათვის, სასაწავლო წვერთვნების უზრუნველყოფა, და სხვა.

პროექტი ორიენტირებულია სოფლის მოსახლეობაზე და გულისხმობს მათი ჯანმრთელობის, სიღარიბისა და ენერგოუზრუნველყოფის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას საოჯახო პირობებში თბოსაიზოლაციო ტექნოლოგიებისა და მზის გამათბობელი სისტემების დემონსტრირების გზით.



გათვალისწინებულია აგრეთვე, პროექტის მიზნებისათვის ადგილობრივი სამშენებლო მასალებისა და სხვა ადგილობრივი რესურსების გამოყენება, ინსტიტუციონალური პოტენციალის შექმნა, წარმოდგენილი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებისათვის სპეციალურად მომზადებული ტრენერებისა და ოსტატების საშუალებით;

პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში ჩატარდა მრავალი შეხვედრა, სემინარი და ტრეინინგი.

ამ ეტაპისთვის პროექტის იდეისა და მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა დაახლოებით 5000 ადამიანს. კოლექტორის მშენებლობაზე დაოსტატებულია 14 ადამიანი. 2011-2012 წწ. დამონტაჟდა 50 მზით წყლის გამათბობელი.

პროექტით დაგეგმილი საქმიანობები გაგრძელდება 2015-მდე.

სიმძლავრის კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა ენერგოეფექტურობაში

ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება, რომელსაც შესწევს უნარი საგანგებო პირობებში მოქალაქეები და მთლიანად სახელმწიფო დაიცვას ყველა სახის ენერგიისა და ენერგორესურსების დეფიციტის საშიშროებისაგან და უზრუნველყოს ქვეყნის საკმარისი და საიმედო ენერგომომარაგება, რომელიც საჭიროა მდგრადი ეკონომიკის მყარი განვითარებისა და მოსახლეობის კომფორტული პირობების დაკმაყოფილებისათვის.

იმ განვითარებული ქვეყნების რიცხვი, რომელთაც გააჩნიათ ქვეყნის რეალური შესაძლებლობები საკუთარი საშუალებებით უზრუნველყონ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება, არც თუ ისე დიდია. მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც, რომელსაც ელექტროენერგიის მისაღებად თბოელექტროსადგურისათვის საჭირო საწვავი საბაზრო ფასებით შემოაქვს საზღვარგარეთიდან. ამიტომ მოცემულ ეტაპზე ელექტროენერგიის დაზოგვის პრობლემა ერთ-ერთი აქტუალურია ენერგეტიკისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. რადგან დაზოგილი ელექტროენერგია ერთი რიგით იაფია ახლად გამომუშავებულზე.

ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის გამოიმუშავება ხდება გენერატორების საშუალებით. გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა დამოკიდებულია გენერატორის სრულ სიმძლავრეზე, რომელიც წარმოადგენს გენერატორის ძაბვისა და დენის ნამრავლს.

სრული სიმძლავრე თავის მხრივ შედგება აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეებისაგან. ნებისმიერი ელექტროხელსაწყოს ან ელექტროდანადგარის მიერ მოხმარებული ელექტრული დენის აქტიური სიმძლავრე ასრულებს სასარგებლო მუშაობას და გარდაიქმნება ჩვენთვის საჭირო ენერგიის სახეებად (თბური, სინათლის, მექანიკურ და სხვა). ცალკეული ელექტროხელსაწყოები ძირითადად მუშაობენ ამ სიმძლავრეზე. ესენია ვარვარების ნათურები, ელექტროქურები, ელექტროუთოები, ელექტროგამაცხელებლები და სხვა.

ელექტრული დენის რეაქტიული სიმძლავრე აღიძვრება მხოლოდ ისეთ წრედებში, რომლებიც შეიცავენ ინდუქციურ და ტევადურ დანადგარებს (მაგალითად, ელექტრულ ძრავებს, ტრანსფორმატორებს, კონდენსატორებს და სხვა). რეაქტიული სიმძლავრე არ ასრულებს სასარგებლო მუშაობას,იხარჯება ელექტრომაგნიტურ პროცესებზე, იწვევს დამატებით დანაკარგებს და მოითხოვს მომატებული სიმძლავრის ენერგიის წყაროებს. აქტიური სიმძლავრის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ ელექტროსადგურის გენერატორები, ხოლო რეაქტიული სიმძლავრის გენერაცია შეიძლება მოხდეს არა მარტო გენერატორებში, არამედ საჰაერო და საკაბელო ხაზებში და ელექტროენერგიის მოხმარების ადგილზე დაყენებული რეაქტიული სიმძლავრის სხვა წყაროებითაც.

ელექტრულ ქსელში აქტიური და სრული სიმძლავრე ერთმანეთთან დაკავშირებულია სიმძლავრის კოეფიციენტით (Cosφ), რომელიც გვიჩვენებს სრული სიმძლავრის რა ნაწილს შეადგენს მოცემულ ქსელში აქტიური სიმძლავრე. როცა: Cosφ = 1, მაშინ ელექტრულ ქსელში გვაქვს იდეალური შემთხვევა, ე.ი. გენერატორის მიერ გამომუშავებული სრული სიმძლავრე მთლიანად გარდაიქმნება სასარგებლო აქტიურ სიმძლავრედ; Cosφ = 0,95, მაშინ ქსელის მუშაობის რეჟიმი კარგია; Cosφ = 0,9 - დამაკმაყოფილებელია; Cosφ = 0,8 და ქვემოთ უარყოფითი მაჩვენებელია.

მაგალითისათვის მოვიყვანთ, თუ რა ეკონომიური ეფექტი გააჩნია სიმძლავრის კოეფიციენტის ამაღლებას. მაგალითად, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით 2012 წელს სს „თელასი“-სა და ენერგო-პრო ჯორჯიას მომხმარებლების მიერ მოხმარებული იქნა 5 989 900 000 კვტ.სთ აქტიური ელენერგია. ცნობილია, რომ დღეისათვის სიმძლავრის კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობა არ აღემატება 0,8. სპეციალისტებისათვის ცნობილი ღონისძიებების გატარების შედეგად ამ კოეფიციენტის მხოლოდ 0,1 ერთეულით (0,9-მდე) გაზრდის შედეგად დაიზოგება 665 544 445 კვტ.სთ ელექტროენერგია.

1 კვტ.სთ ელექტროენერგიის მისაღებად თბოელექტროსადგურებში დაახლოებით იხარჯება 300 გრამი პირობითი საწვავი. 665 544 445 კვტ.სთ ელექტროენერგიის დაზოგვით დაიზოგება 199 663 ტონა პირობითი საწვავი და შესაბამისად შემცირდება ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოყოფა.

აქედან გამომდინარე სიმძლავრის კოეფიციენტის ამაღლებას აქვს არა მარტო ეკონომიური არამედ ეკოლოგიური მნიშვნელობაც.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის
ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის დეპარტამენტის
სრული პროფესორი თენგიზ მუსელიანი

პროექტს - „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2), ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოვიჟენი“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოფით.

მსოფლიო დასუფთავების კამპანიის მიმდინარეობის ფარგლებში საქართველოში სექტემბრის თვეში დასუფთავების აქციაში მონაწილობა მიიღო 41645 ადამიანმა (მონაცემები ქვეყნის მასშტაბით)



SWEDEN

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოფით

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

რედაქტორი: ლელა ყაჭეიშვილი
გამოცემაზე მუშაობდნენ: ლელა ყაჭეიშვილი, მაია კაპანაძე
დიზაინი: ირაკლი გულედანი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო

საქართველო, თბილისი, პეკინის ქ. №10, ბინა 2, 0171
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2306221; ელ-ფოსტა: info@greens.ge
Web-გვერდი: www.greens.ge www.cleanup.ge